ქ ა რ თ უ ლ ი ქ რ ო ნ ი კ ა

№ 46

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

10 აგვისტო
1989

გამოდის 1988 წლის 10 მაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფედერაციის წინააღმდეგ

ბოლო ხანებში თვით ხელისუფლებაც აღიარებს საბჭოთა კავშირის კრიტიკულ მდგომარეობას როგორც ეკონომიკურ, ასევე მმართველობით სფეროში. მდგომარეობას ის უფრო ამძაფრებს, რომ კრიზისი იზრდება და ამ კრიზისიდან გამოსვლა შეუძლებელია. ეს თავად კარგად უწყიან, ამიტომ არ არის გამორიცხული, იმპერიალისტური მიზნებიდან გამომდინარე, ალბათ აპირონ [illegible] და იმპერიას [illegible] უცვალონ ფერი ამავე იმპერიის შენარჩუნებისათვის. ასეთი „ფერისცვალება" კი მხოლოდ რესპუბლიკების კავშირის კონფედერაციად გადაქცევით შეიძლება გამოიხატოს.

[illegible] ისმოდა კონფედერაციის მოთხოვნა მოშიმშილეების მხრიდანაც. ეს განაპირობებს ვიფიქროთ, რომ კონფედერაციული მოწყობა ქვეყნისა შეიძლება ორმხრივ – მთავრობისა და ხალხის – მოთხოვნად იქცეს და რადგან კონფედერაციამ შეიძლება საქართველოს პოლიტიკური მომავალი ჩიხში მოამწყვდიოს, ახლავე ჩავუფიქრდეთ კონფედერაციის იდეას.

დავიწყოთ თავიდან. რას ნიშნავს კონფედერაცია? კონფედერაცია არის სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი რაიმე საერთო საგარეო პოლიტიკური თუ სამხედრო მიზნის მისაღწევად. ამ დროს იქმნება ცენტრალური ორგანიზაციები, რომელთა გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღება და კონფედერაციის წევრ სახელმწიფოთა თანხმობით ხორციელდება.

[illegible] იმისათვის, რომ ქვეყნები კონფედერაციულად გაერთიანდნენ, საჭიროა, რომ ისინი სუვერენული იყვნენ, რათა თავად განსაზღვრონ, ვისთან და რა საერთო პოლიტიკური თუ სამხედრო გეგმით შეკავშირდნენ. სხვაგვარად კონფედერაცია ხელოვნური, ნაძალადევი გამოვა და საქმე კვლავ სსრკ-ს მსგავს ისტორიულ ანომალიასთან გვექნება. შედეგად გამოჩნდებიან ძალის მსურველები, ძალას კი მოწინააღმდეგეები ეყოლება.

როგორც ვხედავთ, ეს მოთხოვნა ჯერ კიდევ დასაწყისში ბუნდოვანებასა და გაურკვევლობას ბადებს. ზოგნი ლაპარაკობენ კონფედერაციის სიკარგეზე და მაგალითად მოჰყავთ აშშ, კანადა და შვეიცარია; ეს კი ქარაფშუტული დამოკიდებულებაა ისტორიის ფაქტებისადმი, რომლებსაც ამ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი. და თუ ჩვენ სერიოზულად ჩავუკვირდებით ისტორიას, ობიექტურად განვსაზღვრავთ და შევაფასებთ აშშ-ში(აგრეთვე კანადასა და შვეიცარიაში) არსებულ ვითარებას, ყველაფერს ნათლად და გარკვევით დავინახავთ.

გადავხედოთ ისტორიას:

1777 წელს ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე არსებულმა კოლონიებმა, რომლებმაც გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, უმთავრესად გარეშე მტრისაგან თავდაცვის მიზნით, დადეს კავშირი, ე.ი. კონფედერაციულად გაერთიანდნენ, თუმცა კვლავინდებურად დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულებად დარჩნენ. გასული საუკუნის 60-იან წლებში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა გარდატეხა, კერძოდ, ჩრდილოეთის შტატებმა შტატების უფრო მტკიცე შეკავშირება მოითხოვეს. სამხრეთის შტატებმა ამაზე პროტესტი განაცხადეს და დაიწყეს ბრძოლა არსებული ფორმის შენარჩუნებისათვის. გაჩაღდა სამოქალაქო ომი, რომელიც ჩრდილოეთის შტატების გამარჯვებით დამთავრდა. დამყარდა ფედერაცია – კავშირი [illegible], რომლებიც კონფედერაციისაგან განსხვავებით [illegible] ძალაუფლებას ცენტრალურ მთავრობასთან ინარჩუნებდნენ. მაგრამ არც ამ ფორმის არსებობა აღმოჩნდა ხანგრძლივი. დაიწყო ბრძოლა შტატებსა და ცენტრალურ მთავრობას შორის. ფაქტიურად ამერიკაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ შეერთებული შტატები ფედერაციიდან უნიტარულ სახელმწიფოდ გარდაიქმნა(ესეც იმის დამადასტურებელი ფაქტია, რომ ფედერაცია გარდამავალი ფორმაა და მალე იცვლება). ჩამოყალიბდა ერთიანი კონსტიტუციური ნორმები და შტატები გახდნენ არა სახელმწიფოებრივი, არამედ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ავტონომიები.

ანალოგიურად ვითარდებოდა მოვლენები შვეიცარიაში და კანადაში, სადაც ასევე არსებობდნენ დამოუკიდებელი შტატები(კანტონები). უფრო მჭიდრო გაერთიანებისათვის ბრძოლის შედეგად(ბრძოლა ფრანგებსა და ინგლისელებს შორის კანადაში; ომი ზონდერბუნდთან შვეიცარიაში) ფედერაცია უნიტარულ სახელმწიფოდ გადაიქცა.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან? [illegible] ჯერ ერთი, ის, რომ ამერიკაში, შვეიცარიასა და კანადაში განვითარება მიდიოდა დამოუკიდებელი შტატებიდან თუ კანტონებიდან ფედერაციის გზით უნიტარული სახელმწიფოსაკენ. ამ ქვეყნების განვითარებამ, მისი, დასაწყისში, ცენტრალიზმისაკენ მიმართული ტენდენციებით, სახელმწიფოებრივი ცხოვრების საბოლოო ფორმად უნიტარული ფორმა მოითხოვა და არა ფედერაციული. ეს ერთი მიზეზია კონფედერაციის გამარჯვების. მაგრამ არსებობს მეორე, ჩვენთვის ყველაზე მთავარი პირობა, რომლის არარსებობა სსრკ-ში კონფედერაციას ხელოვნურ, ანომალიურ სახეს მისცემს.

ამერიკა, შვეიცარია და კანადა იყოფოდა და იყოფა შტატებად და კანტონებად, იყოფა არა ნაციონალური, არამედ გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით. აი, რამ შეუწყო ხელი იქ კონფედერაციის შექმნას და შემდგომ მის გადაზრდას უნიტარიაში. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი ტერიტორია იყოფა ნაციონალური ნიშნის მიხედვით. იგი ვერასდროს ვერ იქცევა უნიტარულ სახელმწიფოდ, რადგან მაშინვე თავს იჩენს ნაციონალური საკითხი. უნიტარიამდე მისვლისათვის საჭიროა ერების ერთმანეთში არევა, ასიმილაცია, რაც არ სურთ სსრკ-ში შემავალ ხალხებს – მათ ისტორიის უკუღმა წაყვანა არ უნდათ. ამერიკაში, შვეიცარიაში, კანადაში ნაციონალური პრობლემა, როგორც ასეთი, არ არსებობს. ისტორია ამტკიცებს, რომ ფედერალიზმი ვერ წყვეტს ნაციონალურ საკითხებს, პირიქით, უფრო ართულებს მათ, და თუ კონფედერაცია ფედერაციით და შემდგომში უნიტარიით არ შეიცვალა, რა აზრი აქვს მის შექმნას?!

კონფედერაციის ბევრი მომხრე ფიქრობს, რომ კონფედერაციული კავშირი დაიშლება და ამით რესპუბლიკები თავისუფლებას მოიპოვებენ. მათი მისამართით ვიტყოდი: ეს იმას ჰგავს, მელოთან კარტს თამაშობდე და მესამე ტუზის იმედზე იყო. სოციალიზმის პირობებში ეს სრულიად დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ კონფედერაციას თავისი სპეციფიური ხასიათი აქვს, პირველ რიგში ის, რომ იგი ყოველთვის ფედერაციასა და შემდგომ უნიტარიას მოითხოვს. კონფედერაციის ფედერაციად გადაქცევა, ან მისი დაშლა, გამოიწვევს გარდაუვალ სამოქალაქო ომს, რომელიც მხოლოდ ფედერაციის დამყარებით დამთავრდება, ფედერაციისა, რომელიც ჩვენ არ გვსურს, რომელიც ჩვენ ხელს არ გვაძლევს. და თან სამოქალაქო ომს ჩვენ ყოველთვის წავაგებთ, თუნდაც გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

ამრიგად, 1776 წლის ამერიკის ანალოგიას საბჭოთა კავშირში არავითარი გამართლება არა აქვს და საზიანოა. ნაციონალურ პრობლემას ჩვენშიც და ყველგან, სადაც ის არსებობს, მხოლოდ სრული სუვერენიტეტი გადაწყვეტს და ამიტომ მოთხოვნაც ცხოვრებისეული – რადიკალური უნდა იყოს – თავისუფლება.

მალხაზ კარელიშვილი

წერილი იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებითა და უმნიშვნელო სტილისტური ცვლილებებით. აღნიშნული ცვლილებების თაობაზე წერილის ავტორთან შეთანხმება ვერ მოხერხდა, რაზეც გაზეთის რედაქცია ბოდიშს იხდის.

როგორც ცნობილია, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, სახალხო-რადიკალური პარტიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ([illegible]) თაოსნობით, რამდენიმე მოთხოვნა წაუყენა საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთში მიმდინარე პროცესების ესკალაციასთან დაკავშირებით. ორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სახელდობრ, მოიხსნა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჩუკოვი – ეროვნებით რუსი; მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულია გივი ლომინაძე. შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებულია მოთხოვნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების თაობაზე(ანჩაბაძე). რჩება მესამე, ყველაზე მთავარი მოთხოვნა – [illegible] მთავარი [illegible] – კონსტანტინე ოზგანის(გუდაუთის რაიკომის I მდივანი) განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან, რაც ავტომატურად გამოიწვევს მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას.

[illegible]: ხალხის მოთხოვნით ედპ-IV დასის გურიის კომიტეტის წევრები ვაშენაიშვილი, ს. კვაჭაძე, მ. ლორცხალაიშვილი, დ. გუგებაშვილი, რ. ებრალიძე, ა. ებრალიძე, რ. სულაბერიძე შეხვდნენ და ესაუბრნენ საკავშირო დაქვემდებარების ქარხანა "გურიის", აგრეთვე ლანჩხუთის, აკეთის, ლესის, მამათის, [illegible] ჩაის ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეებს, საკონსერვო ქარხნის, საწარმოო-სამკერვალო კომბინატის მუშებს, სოფელ გულიანის, აგრეთვე ლესის, მამათისა და [illegible] კოლმეურნეებს.

4 აგვისტოს რაიონის ცენტრში მოეწყო საინფორმაციო ხასიათის მიტინგი, სადაც კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის მნიშვნელობა საქართველოში შექმნილი უკიდურესად მწვავე პოლიტიკური ვითარების დასაძლევად და მისი გამოცხადების აუცილებლობა ქართველი ერის სამართლიანი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.

5 აგვისტოს სარაიონო კულტურის სახლში შედგა შეხვედრა საპატრიარქოს წარმომადგენელ გოჩა აბულაძესთან, რომელიც უკვე მეორედ წარსდგა ლანჩხუთელი მოსახლეობის წინაშე ლექციის კურსით "ქრისტიანობა და საქართველო". შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. გ.აბულაძემ მიიღო მოწვევა ხელახალი შეხვედრისათვის.

ლანჩხუთის რაიონის ცენტრში ედპ-IV დასის კომიტეტს მოწყობილი აქვს სტენდი, სადაც გამოკრულია ყოველდღიური ინფორმაცია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ "ქართული ქრონიკის" ნომრები, პროკლამაციები, მოწოდებები, განცხადებები.

ინფორმაცია...ინფორმაცია...

ა.წ. 21 მაისს ფეხბურთის სტადიონზე მომხდარი ინციდენტის გამო(თბილისის "დინამო" – დნეპროპეტროვსკის "დნეპრი") დაპატიმრებული არიან ზურა შპეტიშვილი და მამუკა ივანოვი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის მიერ გ.გუმბარიძის სახელზე გაიგზავნა შემდეგი სახის ტელეგრამა:

საქართველოს სსრ კპ-ს პირველ მდივანს
გ.გუმბარიძეს

31 მაისსა და 1 ივნისს მილიციის ორგანოებმა დააპატიმრეს ყვავილების [illegible] დროს მონაწილეები – ზურა შპეტიშვილი(დაბ. 1967 წ.) და მამუკა ივანოვი(დაბ. 1968 წ.) ფეხბურთის სტადიონზე მომხდარი ინციდენტის გამო. სასამართლო დანიშნულია 23 აგვისტოს.

კატეგორიულად მოვითხოვთ ორივე პირის სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ პროტესტის სხვა ფორმებს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი: გიორგი ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ირინა სარიშვილი, ვანო ხუხუნაიშვილი, გურამ [illegible], [illegible] ახალაია, თენგიზ გუდავა(აშშ).

- - - - - - - - - - - - - -

ზურა შპეტიშვილისა და მამუკა ივანოვის უკანონო დაპატიმრების თაობაზე ინფორმაცია გადაცემულია დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის.

---

* * *

ვილნიუსში, გედიმინასის მოედანზე გრძელდება ა.წ. 11 ივნისს დაწყებული ესტაფეტური შიმშილობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ლიტვის თავისუფლების ლიგის წევრები. მოშიმშილეთა მოთხოვნებია: 1. საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ლიტვის ტერიტორიიდან; 2. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ყველა შედეგის ლიკვიდირება.

გრძელდება ლიტვის თავისუფლების ლიგისა და "საიუდისის" მიერ ორგანიზებული ხელმოწერები მოშიმშილეთა მხარდამჭერ მიმართვაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრკ-ს მთავრობებისადმი. დღეისათვის შეკრებილია მილიონზე მეტი ხელმოწერა.

/"ექსპრეს-ქრონიკა"/

- -

ესტონეთში გრძელდება რუსი მოსახლეობის გაფიცვა, რომელიც მიმართულია ესტონელი ხალხის მიერ შემუშავებული ახალი საარჩევნო კანონის წინააღმდეგ. ეს კანონი [illegible] დაბრკოლებას უქმნის არაესტონელ ხალხს, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას რუსები წარმოადგენენ, არჩევნებში მონაწილეობისათვის.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გამოთქვამს ღრმა მწუხარებას იმ პოლიტიკური ჩიხის გამო, რომელშიც დღეს ესტონელი ხალხი იმყოფება: ნაცვლად იმისა, რომ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ესტონელმა ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადოს ოკუპანტურ არჩევნებს(აღარაფერს ვამბობთ საბჭოური არჩევნების არადემოკრატიულ ხასიათზე), არა მარტო მონაწილეობას იღებს მათში, არამედ, უფრო მეტიც, ხელს უშლის რუს მოსახლეობას (ლაპარაკია იმ მოსახლეობაზე, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგია სსრკ-ს დაშლის), მონაწილეობა მიიღოს საბჭოურ არჩევნებში. ესტონელი ხალხის სურვილიდან(იგულისხმება დამოუკიდებლობის სურვილი), საერთოდ, ბალტიისპირეთის ქვეყნების სტატუსიდან გამომდინარე, ყველაფერი პირიქით უნდა იყოს. ესტონელი ხალხის დღევანდელი დამოკიდებულება არჩევნებისადმი, რომელიც გამოწვეულია იმ [illegible] ილუზიით, რომ თითქოს ესტონელებით "დაკომპლექტებული" ესტონეთის უმაღლესი საბჭო რესპუბლიკას სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოიყვანს, უდიდეს დაბნეულობას იწვევს დასავლეთში კარგად გასაგები მიზეზების გამო.

მთ.რედაქტორი ირინა სარიშვილი ტ: 39-79-18